ჭიათურელთა პატრიოტული თაოსნობა მხრეებს ფლის

სოფლის მეურნეობის მეტი პროდუქტი სამშობლოს

ეპმრავლოთ ზრომითი წარმატებანი, მეგობრეგო!



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 46-ე წელი. № 277 (13362) | ოთხშაბათი, 24 ნოემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა პირველ ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად მიესალმება სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა პირველი ყრილობის დელეგატებს და თქვენი სახით ყველა მოღვაწეს მრავალეროვნული საბჭოთა კინოხელოვნებისას, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, და ყრილობას უსურვებს დიდ წარმატებებს მუშაობაში.

კომუნისტური პარტია და მისი დამაარსებელი ვ. ი. ლენინი კინემატოგრაფიას, როგორც მშრომელთა განათლების, აღზრდისა და მათი კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების მძლავრ საშუალებას, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. საბჭოთა კინოხელოვნებამ — სოციალისტური რეალიზმის, შინაარსითა და ფორმით ნოვატორულმა ხელოვნებამ, სახელოვანი ისტორიული გზა განვლო, შესანიშნავი ტრადიციები შეიმუშავა და საყოველთაო-სახალხო სიყვარული და მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

ჩვენი კინოხელოვნების განვითარების თანამედროვე ეტაპს ახასიათებს ახალი ნარმატებანი ეკრანზე საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების წარმოსახვაში, შეიქმნა კინონაწარმოებები, რომლებიც გამოირჩევა თემების, ჟანრებისა და მხატვრული ოსტატობის მრავალფეროვნებით. საბჭოთა კინოს მოღვაწენი შემოქმედებითად იყენებენ საბჭოთა კინემატოგრაფიული სკოლის უმდიდრეს მხატვრულ გამოცდილებას და აქტიურად მონაწილეობენ მრავალეროვნული სოციალისტური კულტურის მშენებლობაში.

საბჭოთა კინემატოგრაფისტების პირველი ყრილობა შეიკრიბა ლირსშესანიშნავ დროს, როცა ჩვენი პარტია და ხალხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისათვის ემზადებიან. ამ მზადებაში აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა კულტურის მოღვაწენი.

საბჭოთა ხელოვნების მუშაკებს, მათ შორის კინემატოგრაფისტებს, ისტორიამ დააკისრა უდიდესი პასუხისმგებლობა. ჩვენი ხელოვანნი, როცა თანამედროვეობის დიდ და მწვავე პრობლემებს აყენებენ, ნათლად უნდა ხედავდნენ საზოგადოების განვითარების პერსპექტივებს და თავიანთი შთაგონებული შემოქმედებით ქმედითად მონაწილეობდნენ კომუნიზმისათვის დიად ბრძოლაში.

საბჭოთა კინემატოგრაფისტები მოწოდებული არიან სწორად და მკაფიოდ გვიჩვენონ სოციალიზმის მძლავრი შემოქმედი ძალა, დიადი რევოლუციური გარდაქმნები, რომლებიც მსოფლიოში ხდება.

კინოს მუშაკთა პირდაპირი მოვალეობაა თავიანთი ნაწარმოებებით ხელი შეუწყონ მშრომელთა პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის განუწყვეტელ ზრდას, ცხადყონ საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობის სიდიადე და სილამაზე, მრავალმხრივ და მკაფიოდ წარმოსახონ საბჭოთა ადამიანი, მებრძოლი და ახალი ცხოვრების მშენებელი, დაუცხრომლად იბრძოლონ ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას.

ჩვენი კინოხელოვნება, რომელიც გამხმოვანებულია ლენინური პარტიულობითა და ხალხურობით, მოწოდებულია აღზარდოს მედგარი და მტაცეცი მებრძოლები — კომუნიზმის მშენებლები, დიდი კულტურისა და ზნეობის ადამიანები.

საბჭოთა კინოხელოვნების ოსტატები მრავალმილიონიან აუდიტორიებს მიმართავენ. ამიტომ კინოს მუშაკებს მოეთხოვებათ განსაკუთრებული იდეური სიმტკიცე, შემოქმედებითი აზრის ნათლად გამოხატვა, დიდი მომთხოვნელობა თავიანთი შრომისადმი. კინოს მუშაკებმა განუწყვეტლივ უნდა იზრუნონ იდეურ-მხატვრული დონისათვის, იმისათვის, რომ მათი ნაწარმოებები გასაგები იყოს ხალხის ფართო მასებისათვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის შექმნილ კინოფილმებს, რომლებმაც ჩვენი ცვლა უნდა აღზარდონ პარტიისადმი, საშობლოსადმი, კომუნიზმისადმი უსაზღვრო ერთგულების მაგალითებით.

პარტიას იმედი აქვს, რომ კინოს ოსტატები შექმნიან ახალ ნაწარმოებებს ჰეროიკულ-პატრიოტულ თემაზე, შექმნიან კინოფილმებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განმტკიცებას, ყველა ქვეყნის მშრომელთა ერთიანობასა და სოლიდარობას მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კინემატოგრაფისტებმა, რომლებიც ყველაზე დიდმნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემებს წყვეტენ, აკვირდებიან ცხოვრების მოვლენებს და აქტიურად მონაწილეობენ ცხოვრებაში. მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან უნდა გაანალიზონ ეს მოვლენები. ეს აუცილებელი პირობაა, რომელიც თან ახლავს სოციალისტური კინოხელოვნების ნიჭიერ ოსტატთა შემოქმედებითს გამარჯვებებს. მხოლოდ იმ ხელოვანებს, რომლებიც მტკიცედ დგანან კლასობრივ-პროლეტარულ პოზიციებზე და მშრომელი კაცობრიობის იდეალების ერთგული არიან, შეუძლიათ გამოხატონ ჩვენი რევოლუციური ჰუმანიზმის სილამაზე და უდიდესი აზრი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კინოხელოვნების ყველა უდავო მიღწევასთან ერთად მისი შესაძლებლობანი ხაკმაოდ არ არის გამოყენებული. დღემდე ჯერ კიდევ იქმნება იდეურად და მხატვრულად უფერული კინოფილმები, რომლებიც არ შეესაბამებიან საბჭოთა მაყურებლის მაღალ მოთხოვნებს და კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის აღზრდისა და ჩამოყალიბების ამოცანებს.

პარტია კვლავაც იზრუნებს კინემატოგრაფიის ყოველმხრივი განვითარებისა და მხატვრული ტალანტების აყვავებისათვის, ხელოვნების მოღვაწეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და შემოქმედებითი ზრდისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა პირველი ყრილობა მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება ჩვენი ქვეყნის ყველა კინომუშაკის ცხოვრებაში, საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში, რომლის წინაშე რთული იდეურ-შემოქმედებითი პრობლემები და პასუხსაგები ამოცანები დგას. კინემატოგრაფისტთა კავშირს, რომელიც გაერთიანებს სცენარისტთა, რეჟისორთა, მსახიობთა, ოპერატორთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, კინოკრიტიკოსთა, ჩვენი კინემატოგრაფიის ყველა მუშაკთა მეცადინეობას, ჩაბამს მათ ერთსულოვან კოლექტიურ მუშაობაში. კინემატოგრაფიის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად შეუძლია მიაღწიოს და უნდა მიაღწიოს კიდეც ისეთ შემოქმედებითს გამარჯვებებს, რომლებიც მოახწავებენ საბჭოთა კინოხელოვნების განვითარების უფრო მაღალ ეტაპს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ უსურვებს საბჭოთა კინოს ყველა მუშაკს დიდ შემოქმედებითს წარმატებებს. დაე კიდევ უფრო განვითარდეს და აყვავდეს ხალხისათვის საყვარელი საბჭოთა კინოხელოვნება!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა პირველი ყრილობა

მოსკოვი, 23 ნოემბერი. (საკდესი). დღეს კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი დამფუძნებელი ყრილობა. კინოხელოვნების მოღვაწეთა ამ წარმომადგენლობაში მონაწილეობენ ექვსასზე მეტი დელეგატი და მრავალი სტუმარი.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა ერთერთმა უხუცესმა კინომუშაკმა, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ლ. ვ. კულეშოვმა.

შეკრებილებმა ერთსულოვნად აირჩიეს ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი. დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ნ. ვ. პოდგორნის, მ. ა. სუსლოვს, შ. ნ. დემიჩევს, ი. ვ. ანდროპოვს, როცა ისინი ყრილობის სხდომაზე მოვიდნენ.

ყრილობა ოთხ დღეს გასტანს. მის დღის წესრიგშია სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ლ. ა. კულიჯანოვის მოხსენება „კომუნისტური მშენებლობა და საბჭოთა კინემატოგრაფიის ამოცანები“, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ა. ვ. კარაგანოვის მოხსენება სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის წესდების შესახებ; კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

დელეგატები და სტუმრები მჭუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებას ყრილობისადმი, რომელიც წაიკითხა ამხ. პ. ნ. დემიჩევმა.

მოხსენება გააკეთა ლ. ა. კულიჯანოვმა.

შვიდწლედი დაძლეულია

ტყიბული. (საკ. კორ). ორჯონიკიძის სახელობის შახტმა ამ რამდენიმე დღის წინათ შეასრულა „შავი ოქროს“ მოპოვების შვიდწლიანი გეგმა.

შვიდწლედის განვლილ პერიოდში ორჯონიკიძელებმა გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება აამაღლეს 4 პროცენტით, თვითთეული ტონა ქვანახშირის ღირებულება შეამცირეს 8 კაპიკით. დიდი სამუშაო შეასრულა სამთო მოსამზადებელმა უბანმა, მეტად რთულ გეოლოგიურ პირობებში გაიყვანა 22 კილომეტრი საერთო სიგრძის სამთო გამონამუშევარი.

ორჯონიკიძელები ახლა სკკპ XXIII და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობების აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან. მათ აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს წლის გოლომდე ამოიღონ და მომზამარებელს გაუგზავნონ 49.000 ტონა ზეგეგმითი „შავი ოქრო“.

დიდი ეკონომია

ძუთაისი. (საკ. კორ.). სასახელო წარმატება მოიპოვეს ელექტრომექანიკური ქარხნის რაციონალიზატორებმა.

მიმდინარე წლის ათ თვეში მათ 219 წინადადება შეიტანეს, რომელთა უმრავლესობა წარმოებაში დანერგეს და ნავარაუდევი 90 ათასი მანეთის ნაცვლად უკვე 106 ათასი მანეთი ეკონომია მიიღეს.

ეკონომიის ფონდში დიდი წვლილი შეიტანეს ელექტრომანქანების საამქროს უფროსმა ვ. ცომაიამ და ამავე საამქროს ტექნიკური კონტროლის უფროსმა ნ. ფურცხვანიძემ, მათი ერთობლივი ჩანაფიქრით წარმოებაში დაინერგა ჩასაკიდი ელექტროძრავების გამოცდისას დაზიანებული სპილენძის ღეროების აღსადგენი სპეციალური სამარჯვი, რითაც დაიზოგა დიდძალი ფერადი ლითონი, მიღებულია 9.503 მანეთი ეკონომია.

საგულისხმო რაციონალიზატორული წინადადებები შემოიტანეს და ათასობით მანეთი დაუზოგეს საწარმოს ინჟინერ-კონსტრუქტორმა ვ. ჯულელმა, სამსხმელო საამქროს უფროსმა მ. დეისაძემ, მეკოპემ ე. კაკუშაძემ, მჭედელმა დ. ანასაშვილმა.

ი. ტეფნაძის გრიგადის წარმატება

ახალციხე. (საკ. კორ.). ქვანახშირის მადაროთა სამმართველოს № 1 შახტის კოლექტივმა, რომელიც წინასაყრილოგო ზრომითს გახტზე დგას, ქვანახშირის ამოღების ათი თვის დავალება ვადაზე ადრე გაანაღდა და ბეგმის გადამეტებით 4.500 ტონა შავი ოქრო ამოიღო.

დაწინაურდა მგზრეველთა კომუნისტური შრომის გრიგადა, რომელსაც ი. ტეფნაძე ხელმძღვანელობს. ამ გრიგადამ ათ თვეში გეგმის გადამეტებით 719 ტონა ქვანახშირი მიცა ქვეყანას.

ჭიათურელთა მოწოდების პასუხად ახალციხელმა მაღაროელებმა ვალდებულება იკისრეს ქვანახშირის მოპოვების წლიური დავალება გაანაღდონ 20 დეკემბრისათვის, ხოლო 1966 წლის პირველი კვარტალისა სკკპ ყრილობის გახსნამდე სამი დღით ადრე.

ზეიმი ზეგეგმით

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი მეურვალედ გამოეხმაურა ჭიათურელ მაღაროელთა პატრიოტულ თაოსნობას.

წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მეორე საამქროს კოლექტივი, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ნ. ქათამაძე უძღვება. ამ დღეებში აქ შეასრულეს შვიდწლიანი გეგმა და 1966 წლის ანგარიშში ასეულობით ტონა მაღალხარისხოვანი ლითონი გამოადნეს. შვიდწლედის მანძილზე საამქროს კოლექტივმა დაზოგა 12.300 ტონა მარგანეცის მადანი და 1.456 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. საამქროს კოლექტივის ამ წარმატებას ჭედდნენ შ. ბოჭორიშვილის, დ. ცხადაძის, გ. მაღლაკელიძის მდნობელთა ბრიგადები, რომლებიც შენადნობებს გეგმის გადამეტებით იძლევიან.

ზეიმი ზეგეგმით

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი მეურვალედ გამოეხმაურა ჭიათურელ მაღაროელთა პატრიოტულ თაოსნობას.

წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მეორე საამქროს კოლექტივი, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ნ. ქათამაძე უძღვება. ამ დღეებში აქ შეასრულეს შვიდწლიანი გეგმა და 1966 წლის ანგარიშში ასეულობით ტონა მაღალხარისხოვანი ლითონი გამოადნეს. შვიდწლედის მანძილზე საამქროს კოლექტივმა დაზოგა 12.300 ტონა მარგანეცის მადანი და 1.456 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. საამქროს კოლექტივის ამ წარმატებას ჭედდნენ შ. ბოჭორიშვილის, დ. ცხადაძის, გ. მაღლაკელიძის მდნობელთა ბრიგადები, რომლებიც შენადნობებს გეგმის გადამეტებით იძლევიან.

მომავალი წლის ანგარიშში

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი მეურვალედ გამოეხმაურა ჭიათურელ მაღაროელთა პატრიოტულ თაოსნობას.

წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მეორე საამქროს კოლექტივი, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ნ. ქათამაძე უძღვება. ამ დღეებში აქ შეასრულეს შვიდწლიანი გეგმა და 1966 წლის ანგარიშში ასეულობით ტონა მაღალხარისხოვანი ლითონი გამოადნეს. შვიდწლედის მანძილზე საამქროს კოლექტივმა დაზოგა 12.300 ტონა მარგანეცის მადანი და 1.456 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. საამქროს კოლექტივის ამ წარმატებას ჭედდნენ შ. ბოჭორიშვილის, დ. ცხადაძის, გ. მაღლაკელიძის მდნობელთა ბრიგადები, რომლებიც შენადნობებს გეგმის გადამეტებით იძლევიან.

ნიაღის მზეერავები

ჭიათურა. (საკ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობს ჭიათურის გეოლოგიურ-საძიებო ჯგუფი, რომელმაც მილიონობით ტონა მარგანეცის მარაგი გამოთვალა.

აქ გადაჭარბებით შეასრულეს საძიებო გვირაბების გაყვანის, ბურღვის და მარგანეცის მარაგის გამოთვლის ათი თვის დავალებანი.

წიაღის მზეერავებმა მხარი დაუჭიროს თავიანთ მოძმე — ჭიათურელ მაღაროელებს, იბრძვიან წლიური გეგმის ვადამდე, ხოლო 1966 წლის პირველი კვარტალის დავალების ყრილობის გახსნის დღისათვის შესასრულებლად.

წინასაყრილობო შრომითს ვახტზე დგანან ორდენოსან გ. ხვედელიძის, ნ. ცერცვაძის და ო. ჭიოლაძის ბრიგადები. ისინი დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

შრომითს ვახტზე

თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივმა, რომელიც დადგა დიდი ოქტომბრის 48-ე წლისთავისა და პარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, ვალდებულება იკისრა წლიური გეგმა შეასრულოს 17 დეკემბრისათვის, ხოლო 1966 წლის პირველი კვარტალის გეგმა — 26 მარტისათვის. (საქდესი).

აუმჯობესებენ ხარისხს

მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის კოლექტივმა 103,5 პროცენტით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების 10 თვის გეგმა. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, მნიშვნელოვნად შემცირდა დანახარჯები სასაქონლო პროდუქციაზე, გაუმჯობესდა ხარისხი.

მეავეჯეებმა გადაწყვიტეს შვიდწლედის ბოლო წლის საწარმოო გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულონ და გეგმის გადამეტებით გამოუშვან 60 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, მათ შორის 10 ათასი ცალი სკამი, 1960 წელთან შედარებით 8,6 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, რაციონალიზაციისა და გამოგონებათა დანერგვით მიიღონ 2 ათასი მანეთის ეკონომია. წლის ბოლომდე დაამთავრონ ნედლეულის მექანიზებული საწყობის მშენებლობა.

ქ. სახვაძე.

ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებენ სამშობლოს დედაქალაქის საწარმოთა მშრომელები. თბილისის კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში წინასაყრილობო შრომითს ვახტზე დგას რევაზ ლელეაშვილის ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადა და ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 120-130 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: ზეინკალთა ბრიგადირი რ. ლელეაშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ეკონომიკისა და ეკონომიური პროპაგანდის პრობლემები

სამეცნიერო კონფერენცია მოსკოვში

ეკონომიური კანონები და მეურნეობის ხელმძღვანელობა, ეკონომიური პროპაგანდა თანამედროვე პირობებში — ამ პრობლემებს მიეძღვნა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც 22 ნოემბერს გაიხსნა მოსკოვში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო ეკონომისტები, იდეოლოგიური მუშაკები, საგეგმო ორგანოთა და სამინისტროთა მუშაკები, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის მთელი რიგი ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები — სულ ათასამდე კაცი.

კონფერენცია მოიწვიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყოველკვირეულმა „ეკონომიჩესკაია გაზეტამ“, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა უმაღლესმა პარტიულმა სკოლამ, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიამ და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის განყოფილებამ.

კონფერენციაზე პირველი მოხსენება წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. ი. სტეპანოვმა — „ეკონომიური თეორიის, პრაქტიკისა და იდეოლოგიური მუშაობის ერთიანობა“. შემდეგ მოხსენებანი გააკეთეს: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. მ. რუმიანცევმა („ეკონომიური კანონების შემეცნებისა და გამოყენების მეთოდები სოციალიზმის დროს“), პროფესორმა გ. ა. კოზლოვმა („სახალხო მეურნეობის მართვის ეკონომიური და ადმინისტრაციული ბერკეტები“), სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. მ. გატოვსკიმ („ტექნიკური პროგრესის დაგეგმვა და ეკონომიური სტიმულირება“) და სხვებმა.

კონფერენციის მუშაობა სამ დღეს გასტანს. (საკდესი).

საპაჭრო მოლაპარაკება

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი ესაუბრა ფინეთის მთავრობის საგაჭრო დელეგაციის მეთაურს, ფინეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილესა და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ატტი კარიალაინენს. საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-ფინეთის ვაჭრობის შემდგომი განვითარების საკითხები, აგრეთვე საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია 1966 წლის საქონლბრუნვის ოქმის ხელმოწერასთან.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ვაჭრობა წარმატებით ვითარდება. გადაჭარბებით შესრულდება საქონლბრუნვის მოცულობა, რაც დაგეგმილია ხუთწლედისათვის, რომელიც წელს თავრდება. სსრ კავშირსა და ფინეთს შორის საქონლბრუნვის ახალი ოქმი, რომლის დადების შესახებაც ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება, დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება ორივე ქვეყნის ვაჭრობის განვითარებაში.

იმავე დღეს გაიმართა საბჭოთა კავშირისა და ფინეთის სავაჭრო დელეგაციათა პლენარული სხდომა. (საკდესი).

• საკდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი-96“

1965 წლის 23 ნოემბერს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-96“-ის მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ გაგრძელდეს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაუვლენია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 89,6 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეი) — 310 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეი) — 227 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობა — 51 გრადუსი და 54 მინუტი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის რადიოგადამცემი, რომელიც 19,895 და 19,735 მეგაჰერცი სიხშირით მუშაობს.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც მობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. ბეჟანიძეს ინდიშე ჰუსეინის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასს რესპუბლიკის ხულოს რაიონის სოფელი სამოლეთი.

2. ქვარცხავას გაგული ლევანის ასულს — დიასახლისს, ხობის რაიონის სოფელი ახალხიბულა.

3. ომმაძეს ელენე იორდანის ასულს — დიასახლისს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფელი კორინთა.

4. პაპიაშვილს რახელ რუბენის ასულს — დიასახლისს, ვანის რაიონის სოფელი ვანი.

5. რეშეტნიკოვას პრასკოვია ზაქარიას ასულს — დიასახლისს, ქალაქი ფოთი.

6. სულთან ნოვრუზ ყზის — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „კომინტერნის“ კოლმეურნეს.

7. ხაჩატურიანს არუსიაკ კაპრიელის ასულს — დიასახლისს, წალკის რაიონის სოფელი აშკალა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1965 წლის 17 ნოემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ს. მ. ჯაფარიძისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური და საესტრადო ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის ამხ. სტეფანე მელიტონის-ძე ჯაფარიძეს მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წ. 23 ნოემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ნ. ჟელგუნინისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს ორკესტრის უფროსს ამხ. ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ჟელტუხინს მიენიჭოს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965. წ. 23 ნოემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. ს. გაღაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დამდგენის ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიონული კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. იოსებ სიმონის-ძე ბაღაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წ. 23 ნოემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ნ. ს. ბოჭორიშვილის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ფერწერული ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის ამხ. ნიკოლოზ სიმონის-ძე ბოჭორიშვილს მიენიჭოს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წ. 23 ნოემბერი.

პოეტის უკვდავება

აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

დიდი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული ლიტერატურის მშვენებისა და სიამაყის აკაკი წერეთლისადმი დიდი სიყვარულის ნიშნით გაიმართა საიუბილეო საღამო, რომელიც პოეტის დაბადების 125 წლისთავსა და გარდაცვალების 50 წლისთავს მიეძღვნა.

თავისი მგზნებარე პოეტური სიტყვით აკაკი წერეთელი უმღეროდა ხალხთა მეგობრობას, ჰუმანიზმს, მშრომელი ხალხის საუკეთესო იდეალებს. სამშობლოს თავდადებული სამსახური, თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლა მიაჩნდა აკაკი წერეთელს პოეტური შემოქმედების უმაღლეს კანონად.

რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში, სადაც 23 ნოემბერს საიუბილეო საღამო გაიმართა, შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მწერლები, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, მოსწავლე ახალგაზრდობა. სცენის სიღრმეში პოეტის პორტრეტი მოჩანს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. გ. სტურუამ.

მოხსენება აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ გააკეთა საქართველოს სახალხო პოეტმა, პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ.

სიტყვები წარმოთქვეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. შანიძემ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. მეტრეველმა, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ი. თარბამ. საჩხერის რაიონის საზოგადოებრიობის სახელით სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველმა მდივანმა პ. ნოზაძემ.

პოეტებმა მ. ბარათაშვილმა, ხ. ბერულავამ, მ. ლებანიძემ, ი. ნონეშვილმა წაიკითხეს ა. წერეთლისადმი მიძღვნილი ლექსები.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

საღამოს დაესწრნენ ამხანაგები გ. ს. ძოწენიძე, გ. ი. ჩოგოვაძე. (საქდესი).



ᲛᲝᲣᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲪᲐᲛᲔᲕᲔᲜᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ, ᲙᲐᲠᲒᲘᲓᲐᲕᲐᲛᲘ!

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲛᲘᲛᲔᲖᲘᲓᲕᲔᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲡ

ᲛᲘᲠᲐᲫᲔ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲠᲘᲡ დედა რა არ უნახავს, რას არ მოსწრებია ეს ბარაქიანი მიწა. ახსოვს, თუ როგორ ტეხდნენ ღამეებს მის გულმკერდზე დაბინავებული გლეხები, როცა თვეობით რჩებოდნენ მინდვრად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩასატარებლად. ᲞᲝᲠᲘᲡ იყო მათი სოფლები ᲖᲔᲛᲝ მაჩხაანი, არბოშიკი, მირზაანი, ოწაანი და კიდევ სხვები, სადაც ოდესღაც პატარა სახლები, ზოგს ქოხმახები ედგათ და უსიხარულოდ სწევდნენ მძიმე ცხოვრების ჯაჯანს.

ამ სოფლების მკვიდრთაგან ბევრმა ვეღარ გაუძლო სიღარიბეს, აიყარა ძველი ადგილიდან და ახალი კერა შექმნა ოდესღაც უკაცრიელ შირაქის ველზე.

ეს იყო წინათ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. პირველ წლებშიც. ახლა აქ სოფლებმა მთლიანად იცვალეს სახე, ძველი მხოლოდ მიწაღა დარჩა, მაგრამ თვით მიწაც სხვა სამოსელში გაეხვია. კოლმეურნეობის მდიდარმა ტექნიკამ და გამრჯე კოლმეურნეების მარჯვენამ იგი უფრო ნაყოფიერი გახადა. ხორბალი და სიმინდი, ბაღები და ვენახები... ვინ ჩამოთვლის იმ კულტურებს, რომლებიც ხარობენ წითელწყაროს კოლმეურნეობების ბარაქიან მიწებზე.

სიამით უცქერ აყვავებულ სოფლებს, რომლებსაც ახალი ორსართულიანი სახლები ამშვენებენ, ᲖᲔᲛᲝ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ კოლმეურნეთა საცხოვრებელ ბინებს უმირავს, ქვემოთ კი მოწყობილია მარანი, სამზარეულო, საკუბანო და ყოველგვარი სათავსები. კოლმეურნეთა ბინები განათლებულია ილიჩის ნათურებით, რადიო ხომ დიდიხანია დამკვიდრდა ხალხთა ყოფაცხოვრებაში. სკოლები, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, საექიმო უბნები, აფთიაქები და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი კოლმეურნეთა სამსახურში დგანან.

წითელწყაროს რაიონის სოფლების მშრომელთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესება, კულტურის ამაღლება შედეგია იმისა, რომ უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობები ეკონომიურად ღონიერი გახდა, გაიზარდა საზოგადოებრივი მეურნეობები, შეიქმნა მტკიცე საფუძველი მათი შემდგომი განვითარებისათვის, გადიდდა კოლმეურნეების შრომადღის ხვედრი.

სოფლის მეურნეობის აღმავლობა, კოლმეურნეობების ეკონომიკის განმტკიცება კიდევ უფრო აშკარა გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ, რომელმაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის კონკრეტული პროგრამა დასახა.

ᲩᲕᲔᲜᲘᲡ რაიონსა მიმდინარე წელს მარცვლის გამოკლებით სოფლის მეურნეობის თითქმის ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები შესრულდა. სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 2.408 ტონაზე მეტი ხორცი, 6.300 ტონაზე მეტი რძე, 7 მილიონ ცალზე მეტი კვერცხი, 451 ტონაზე მეტი მატყელი, 6.500 ტონაზე მეტი ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ და სხვა პროდუქტები.

ცხადია, რაიონის მაჩვენებლები კიდევ უკეთესი იქნებოდა, ᲧᲕᲔᲚᲐ კოლმეურნეობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების განვითარების რეზერვებს ისე რომ აყენებდეს, როგორც ᲖᲔᲛᲝ მაჩხაანის, ჯაფარიძის, ᲖᲔᲛᲝ ქედის კოლმეურნეობები.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲑᲠᲘᲕᲘ მეურნეობის სწრაფმა განვითარებამ, მისმა ეკონომიურმა სიძლიერემ თავისი კეთილსასურველი ელფერი მისცა სოფლებს. მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სოფლების განაშენიანება დღემდე უგეგმოდ წარმოებდა. ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲘᲐ არ ექცეოდა ეზოებისა და გზების კეთილმოწყობას, გამწვანებას. დანგრეული გზები, ხრიოკი და დანაგვიანებული ეზოები, ზამბახური ღობეები ლაზათსა და ელფერს უკარგავდა ლამაზად ნაშენ ორ და სამსართულიან სახლებს. ამას თვითეული კოლმეურნე გრძნობდა, მაგრამ რატომღაც მოთავე არავინ გამოჩნდა, რომ საერთოდ ეზრუნა სოფლების კეთილმოწყობისა და გამშვენიერებისათვის.

როგორც კი პრესაში გამოქვეყნდა საგარეჯოელთა ძვირფასი მოწოდება: „მოუარე და დაამშვენე შენი სოფელი, კარმიდამო“, წითელწყაროს რაიონის მშრომელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ მას და დაუჭირეს მხარი. შევადგინეთ რაიონისა და სოფლების კეთილმოწყობის სამწლიანი გეგმები.

პრაქტიკული მუშაობის დაწყება არ დაგვიყოვნებია. გაიშალა მუშაობა დასახული გეგმების განხორციელებისათვის. ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ, ᲔᲖᲝᲔᲑᲨᲘ, საავტომობილო გზების გაყოლებით დავრგეთ 100 ათასზე მეტი მარადმწვანე და ნაყოფის მომცემი ხე. ადგილობრივი სახსრებით და ხალხის შრომითი მონაწილეობით გალამაზდა სოფლების საუბნო და მთავარი გზები. ასფალტი დაგებულ იქნა წითელწყაროში, სოფელ ᲖᲔᲛᲝ მაჩხაანში, არბოშიკში და ᲖᲔᲛᲝ ᲥᲔᲓᲨᲘ.

ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ღონისძიებანი გატარდა ქალაქ წითელწყაროსა და რაიონის სოფლების წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად. დასასრულს უახლოვდება წითელწყაროს და არბოშიკის წყალსადენების მშენებლობა.

რაიონის კეთილმოწყობის სამწლიანი გეგმის მიხედვით პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების და სასკოლო მშენებლობის საქმეში, განახლდა და მიმდინარე წელს დამთავრდება ქალაქ წითელწყაროში რაიონული კულტურის სახლის მშენებლობა, ჩქარი ტემპით შენდება კულტურის სახლები სოფლებში არხილოსკალოსა და წითელწყაროში.

ახალ სასწავლო წელს კარგი საჩუქარი მიიღეს სოფლების მირზაანისა და საბათლოს რვაწლიანი სკოლების მოსწავლეებმა. აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა ორი ორსართულიანი კეთილმოწყობილი სასკოლო შენობა. ამჟამად მიმდინარეობს საშუალო სკოლის მშენებლობა სოფელ ᲥᲔᲓᲘ, დასასრულს უახლოვდება ბაგა-ბაღის აგება ქალაქ წითელწყაროში.

იქ, სადაც სოფლის თავკაცებმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეებმა, დეპუტატებმა, სოფლის აქტივმა აქტიურად მოქმედეს ხელი ამ კეთილშობილურ საქმეს, შედეგები უფრო სახისხარულო და თვალსაჩინოა.

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲖᲔᲛᲝ ᲥᲔᲓᲨᲘ გზების კეთილმოწყობისა და სოფლის გამწვანების საქმეს სათავეში ჩაუდგა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი არსენ კობაიძე. გონიერ ხელმძღვანელს მთელმა სოფელმა დაუჭირა მხარი. სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოებზე ᲧᲕᲔᲚᲐ ერთსულოვნად გამოდიოდა. სოფელს განსაკუთრებით აწუხებდა უგზოობა, ტალახი. კარგად ნაშენ სახლებს შნოს უკარგავდა მოუწყობელი ეზოები.

პირველ რიგში საჭირო იყო მთავარი გზის მოასფალტება და საუბნო გზების მოხრეშვა. ეს საქმე აქ უფრო გონივრულად გადაწყვეტეს. ააგეს ასფალტის სახარში პატარა ქარხანა. ამ ღონისძიების განხორციელებამ დიდი ეკონომიური ეფექტი გამოიღო. სოფელს კვადრატული მეტრი გზის მოასფალტება სამჯერ ნაკლები დაუჯდა, ვიდრე რომელიმე სახელმწიფო ორგანიზაცია ჰპირდებოდა. უკანასკნელ პერიოდში აქ ასფალტი დაგებულ იქნა 6 კილომეტრზე, მოხრეშულია ᲧᲕᲔᲚᲐ საუბნო გზა. გზის ორივე მხარეს, სკოლის, საბავშვო ბაღის, კოლმეურნეობის კანტორის, კოლმეურნეთა ეზოებში დაირგო 23 ათასზე მეტი მარადმწვანე და ნაყოფის მომცემი ხე.

ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲚᲝ ოშში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად სოფლის ცენტრში დასასრულს უახლოვდება ობელისკისა და მარმარილოს სტენდის მშენებლობა. მოეწყობა დიდი კვარი, გამოყვანილი იქნება წყაროს წყალი. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ მხატვრულად ფორმდება. სოფლის ცენტრი ძალზე ლამაზი სანახავი იქნება. მას გამვლელი ალბათ გულგრილად გვერდს ვერ ჩაუვლის, გაჩერდება და დიდებით მოიხსენიებს ამ სოფლის ვაჟკაცებს, რომლებმაც ასახელეს ჩვენი სამშობლო და თავიანთი სიცოცხლის ფასად ღირსეული წვლილი შეიტანეს ჩვენი ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘᲡ დამოუკიდებლობისა და მშვიდობიანობის საქმეში.

სოფელს განსაკუთრებით უკარგავდა ლაზათს უშნო ძეძვის ღობეები. ესენიც ისტორიას ბარდება. ახლა აქ 20 გრძივ კილომეტრზე ბეტონის საფუძველზე გაკეთებულია ლამაზი ხის ღობეები.

სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოებში თითქმის მთელი სოფელი მონაწილეობს, მაგრამ არ შეიძლება არ გამოყოთ დეპუტატები, სოფლის აქტივისტები, რომლებსაც გული შესტკივათ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, თვალსაჩინოვით უფრთხილდებიან სოფლის ლაზათს. ესენი არიან ს. ბექაური, გ. მაზიაშვილი, გ. წიკლაური, დ. ეფეთაშვილი და სხვები.

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲖᲔᲛᲝ მაჩხაანი. ეს სოფელი კი არა, მოზრდილი კეთილმოწყობილი ქალაქია. მშრომელთა სამსახურში დგას კულტურის სახლი, აბანო, ბიბლიოთეკა, სამშობიარო, საბავშვო ბაგა-ბაღი, სკოლები. საცხოვრებელ ბინებს არ იკითხავთ?... სოფელს უწყლობა სტანჯავდა. ახლა სოფელი წყლითაც უზრუნველყოფილია. სოფელს ერთგვარად უკარგავდა ლაზათს კეთილმოუწყობელი გზები. ეს საქმეც მოგვარდა. მთავარი გზა ასფალტით დაიფარა, საუბნო გზები მოიხრეშა, გზის ორივე მხარეს დაირგო მარადმწვანე და ნაყოფის მომცემი ხეები.

სოფელი ღონიერია თუ კაცი გონიერია. ეს ხალხური ნათქვამი ᲖᲔᲓᲐᲛᲬᲠᲚᲘᲐ ამ სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე ნიკო მამაიაშვილზე. ვის არ სმენია, ვის არ წაუკითხავს ამ კოლმეურნეობის წარმატებები, სოფლის კეთილმოწყობის დიდი სამუშაოები. სოფელს ᲰᲧᲕᲐᲗ მეტად გამჯდარ ხალხი. მიუხედავად ამისა, რომ წლეკნდელმა წელმა არ გაუმართლა ამ სოფელს, კოლმეურნეობის ფაულები შემოსავალი ორ მილიონ მანეთს გადააჭარბებს. ეს დიდი შრომის შედეგია.

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ. ამ სოფელს დიდი ხნის ისტორია არა აქვს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში მხოლოდ ორი წლით დაასწრო. ძველი პატარა ქოხმახები წარსულს ჩაბარდა. ქალაქური ტიპის ახალშენი გეგონებათ ეს მდიდარი და კეთილმოწყობილი სოფელი. ხალხს ᲧᲐᲜᲗᲜᲘᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ამაღლებისათვის სოფელს ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ გააჩნია. მაგრამ შნო და ლაზათი ჭკოსდა დაკარგული ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ამის გამო, რომ გზები კეთილმოუწყობელი იყო, ეზოები კოპწიად არ გამოიყურებოდნენ.

საგარეჯოელთა თაოსობის საპასუხოდ სოფლის კეთილმოწყობის საქმეს სათავეში ჩაუდგა საკოლმეურნეო მშენებლობის კარგი ორგანიზატორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნიკო ყორჩაშვილი. მან მთელი სოფელი დარაზმა სოფლის გასამშვენიერებლად. მოიშალა ძეძვის ღობეები. კოლმეურნეთა ეზოები, სადაც ლამაზი საცხოვრებელი სახლებია წამოჭიმული, ᲧᲕᲐᲕᲚᲔᲑᲘᲗ და მწვანე ხეებმა დაამშვენა, ბინებიდან ისმის რადიოგადაცემა, მუსიკის ხმა.

კარგად არის ცნობილი, რომ წითელწყაროს რაიონისათვის წამყვანი დარგებია მეცხოველეობა და მემინდვრეობა. კოლმეურნეობათა მშრომელები ძირითადად მეცხოველეობაში არიან დასაქმებული და თავიანთი ცხოვრების დიდ ნაწილს ფერმებში ატარებენ. ამიტომ საკმაოდ სწორად სოფლების გამშვენიერების სამწლიან გეგმებში შეტანილია ფერმების კეთილმოწყობის დიდი სამუშაოები. მოწინავე კოლმეურნეობებმა ამ მხრივ დიდი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგეს. მარტო მიმდინარე წელს ბრიგადებსა და ფერმებში საექსპლოატაციოდ გადაეცა მწყემსთა საცხოვრებელი 24 ახალი, კეთილმოწყობილი კაპიტალური სახლი. დაირგო მრავალი ათასი ხე.

ᲖᲔᲛᲝ მაჩხაანის, ᲖᲔᲛᲝ ᲥᲔᲓᲘᲡᲐ და ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ კოლმეურნეობების ᲧᲕᲔᲚᲐ ბრიგადაში და ფერმაში მწყემსებისათვის აქვთ კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები. მარტო მაჩხაანის მეცხოველეობის ფერმების მწყემსების განკარგულებაშია 80 კაბალური საცხოვრებელი სახლი. ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ილიჩის ნათურები ციმციმებენ და რადიომიმღებებით ისმენენ ახალ ამბებს. სისტემატურად მისდით ახალი ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲒᲐᲖᲗᲔᲑᲘ.

ამ დიდი შემოქმედებითი მუშაობის მიუხედავად, რაც საგარეჯოს მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობასთან დაკავშირებით ჩატარდა, ᲧᲕᲔᲚᲐ რეზერვი და შესაძლებლობა რიდია ამოწურული მშობლიური რაიონისა და სოფლების გასალამაზებლად. ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲗᲐ სასოფლო საბჭომ შეიმუშავა სამწლიანი გეგმა, გადწყვეტა ადგილობრივი სახსრებითა და ხალხის შრომითი მონაწილეობით უფრო კეთილმოწყობილი გაეხადა სოფელი, მაგრამ კარგი წამოწყება ჯერჯერობით ქაღალდზე დარჩა. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება სოფლებს საბათლოს, ᲥᲕᲔᲛᲝ ᲥᲔᲓᲘ და თვით წითელწყაროს. ამ სოფლების ხელმძღვანელთა მოუწდომელობით სოფლები კეთილმოუწყობელია, სასოფლო გზებს დიდი შეკეთება ესაჭიროება.

ქალაქი წითელწყაროა სათანადოდ კეთილმოწყობილი როდია. ამის მიზეზი ის არის, რომ წლების მანძილზე ბიუჯეტით გამოყოფილი თანხები დაქსაქსული იყო. უყაირათოდ იხარჯებოდა, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ აუთვისებელიც კი რჩებოდა. რაიონის ბიუჯეტის ᲧᲐᲠᲘᲡ მეშოსავალი არ იხარჯებოდა კეთილმოწყობის სამუშაოთა შესასრულებლად. ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში ჩაბმული არ არიან საწარმოები და დაწესებულებები. ტრესტ „საქნაკთის“ საწარმოებს ᲩᲕᲔᲜ ქალაქში თავისი არსებობის 35 წლის მანძილზე მხოლოდ ერთი 8-სართულიანი სახლი აქვთ აშენებული. ბორდვის კანტორამ ისიც კი ვერ შეძლო, რომ ცენტრალური ᲥᲣᲩᲘᲓᲐᲜ კანტორამდე 200 მეტრის მანძილზე გაეკეთებინა ტროტუარი, რათა ამ საწარმოს მუშა-მოსამსახურეები ᲬᲕᲘᲛᲘᲐᲜ ᲐᲛᲘᲜᲓᲨᲘ ტალახში არ ეფლობოდნენ.

კეთილმოწყობილია რკინიგზის სადგური. 1950 წლიდან დღემდე არცერთი მანეთი არ დაუხარჯავთ ტერიტორიის კეთილმოწყობაზე. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მაღაროთა სამმართველოს 5 წლის წინათ ქალაქში გამოეყო ნაკეთი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, მაგრამ ამ საწარმოთა ხელმძღვანელებმა ააშენეს ერთსართულიანი პატარა სახლები და ამით არათუ გალამაზეს ქალაქი, არამედ, პირიქით, დაუშნოს.

სოფლად კეთილმოწყობის სამუშაოები მთავარია, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას. დღეს არაფრით არ შეიძლება გამართლებული იქნას ის, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული. საჭირო იქნება კოლმეურნეობები დაეხმარონ სამმართველოს ბინების გამონახვასა და მშენებლობაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდის დარგში რაიონის ბევრი კოლმეურნეობა სამაგალითოა. მალე სოფლებიც სამაგალითონი იქნებიან კეთილმოწყობის საქმეშიც.

Ე. ᲗᲐᲜᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ᲓᲠᲝᲨᲐ ᲒᲖᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲡ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ გზების მოწინავე მშენებლები და მერქანმჭრელები ძალღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ ჩვენი გზები იყოს ლამაზად მოწყობილი, მოასფალტებული და მგზავრებისათვის ყოველმხრივ ხელმისაწვდომი.

ამ საქმეში დაწინაურდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატაციცილების მთავარი სამმართველოს **მე-4 საგზაო-სარემონტო სამშენებლო სამმართველო** (უფროსი რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი შ. ქეთოკლიძე, მთავარი ინჟინერი ვ. ლისიცინი). სამმართველოს კოლექტივმა მესამე კვარტალში ᲧᲕᲔᲚᲐ სახეობის მიხედვით დიდი გადაჭარბებით შეასრულა საწარმოო დავალება, მიიღო 53 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება და საგზაო მშენებელ მუშაკთა შორის გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა, რისთვისაც კვლავ დაეტოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ ამ სამმართველოს **ნატახტარ-გორის, რუსთავის, წყნეთის** გზის უბნების კოლექტივები (უფროსი სამუშაოთა მწარმოებლები თ. შაიშმელაშვილი, ვ. გველესიანი და ნ. ლომიძე).

ემზადება რა სკკპ XXIII და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობების დირსეული შეხვედრისათვის, სამმართველოს კოლექტივმა გადაწყვიტა წლიური დავალება ᲧᲕᲔᲚᲐ მაჩვენებლის მიხედვით შეასრულოს 5 დეკემბრისათვის და მოწოდება მიმართა რესპუბლიკის გზების მუშაკებს გაიჩაღონ ყირილობებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება.

3 ᲗᲠᲯᲐᲜᲘᲡ რაიონის ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა სასახელოდ შესრულების მიზნით ქმედითი ღონისძიებანი დასახეს და ᲧᲕᲔᲚᲐ დარგში გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს.

მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ მომვლელ-მწველავები ვ. აბულაძე და შ. გაიმარჯაშვილი. ისინი პირველობისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ და პირუტყვის კარგი მოვლის შედეგად ჯერ კიდევ პირველი სექტემბრისათვის შეასრულეს წველადობის წლიური გეგმა. მათი პირობაა გეგმის გადამეტებით თვითეულ ძროხაზე მოწველონ სულ მცირე 500-500 ლიტრი რძე.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲐᲖᲔ: (მარცხნიდან) ვ. აბულაძე და შ. გაიმარჯაშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲐᲮᲐᲚᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

ᲫᲘᲗᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). პარტიის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო სემინარი ახალარჩეული პარტბიურობების მდივნების დასახმარებლად.

პარტიული მეურნეობა, შინაპარტიული დემოკრატია, პარტიის ᲧᲘᲗᲐᲠᲘᲡ კანდიდატებთან და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა, პარტიული აღრიცხვა და ანარიცხების პრიმაჩაპარება, პარტიული დოკუმენტების მოგზა-პატრონობა — აი საკითხები, რომლებზეც სემინარის მონაწილეებს დაწვრილებით ესაუბრნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაკები.

პარტიული ორგანიზაციების ბიუროების მდივნებმა დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება.

ᲰᲐᲠᲒᲘ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲫᲘᲫᲔ. (საკ. კორ.). კარგი თაოსნობა გამოიჩინა სოფელ ვახანის ტერიტორიულ პარტორგანიზაციასთან არსებულმა აგიტკოლექტივმა, რომელსაც საშუალო სკოლის დირექტორი ბ. არეფაძე ხელმძღვანელობს. მან სასოფლო კლუბში მოაწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია.

„მრეწველობის განვითარება და საშეურნეო ხელმძღვანელობისადმი ახალი მოთხოვნები“, „დაგეგმვის სრულყოფა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირება“, „მრეწველობის მართვის ახალი სისტემა“, „საერთაშორისო ცხოვრების ზოგიერთი საკითხი“— აი თემები, რომლებზეც მოხსენებები წაიკითხეს გ. ლაცაბიძემ, ა. გოგოლაძემ, ვ. ალბაზოშვილმა და ა. შავაძემ.

მოხსენებათა შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲐ

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲗᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კინოს გზების განვითარების შესახებ თავის მოხსენებაში სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ᲔᲚ. Ა. ᲙᲣᲚᲘᲯᲜᲘᲜᲛᲐ სთქვა:

ᲩᲕᲔᲜᲘ კინოსელოვნების მთელი ისტორიის მანძილზე პირველად მიმდინარეობს მის მუშაკთა ესოდენ წარმომადგენლობითი და პასუხსაგები კრება — კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის პირველი დამფუძნებელი ყრილობა, თქვა მომხსენებელმა.

ᲯᲣᲠ კიდევ იმ დროს, როცა კინემატოგრაფია ის-ის იყო ფეხს იდგამდა, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა დაინახა, თუ რა შესაძლებლობანი, რა დიდი მომავალი ჰქონდა მაშინდელ მოძალაგანო ატრაქციონს. დღეს ჩვენ ვხედავთ, როგორ ახდა ეს მისი განჭვრეტა.

მარტო შარშან ჩვენს ქვეყანაში კინოფილმები ნახა 4 მილიარდ 112 მილიონმა მაყურებელმა.

ჩვენი ხელოვნება ვითარდებოდა და ვითარდება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა საზოგადოების ᲧᲔᲚᲐᲖᲔ ნათელი და კეთილშობილური იდეალების განხორციელების ინტერესებისათვის. ინტელიგენტისათვის, ხელოვანისათვის ᲧᲔᲚᲐᲖᲔ დიდი ბედნიერება, მუშაობდეს ამ იდეალების განხორციელებისაკენ.

მომხსენებელი შეეხო საბჭოთა კინოხელოვნების წარმატებებს, მის საერთაშორისო ავტორიტეტს, მთელ რიგ შესანიშნავ საბჭოთა ფილმებს. უკანასკნელი წელიწადნახევრის-ორი წლის განმავლობაში თავი გამოიჩინა ათობით ახალგაზრდა ხელოვანმა, და ჩვენს კინემატოგრაფს ახლა შეიძლება ნამდვილად ჰქონდეს მათი იმედი. დებიუტების ასეთი სიუხვე ᲯᲣᲠ არ გვქონია!

აღფრთოვანებულნი მოვედით ჩვენ პირველ ყრილობაზე, რათა დავაარსოთ სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირი — კინოს ხელოვანთა მებრძოლი ამხანაგობა, რომელსაც აკავშირებთ არა მარტო ამქრული ინტერესები, არამედ მიზნების ერთობა, პარტიის იდეალებისადმი ერთგულება.

ახალ ისტორიულ პირობებში, გამარჯვებული სოციალისტური რევოლუციის ქვეყანაში კანონზომიერად წარმოიშვა ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ცნობილი ფორმულა: „ხელოვნება ხალხს ეკუთვნის“. რევოლუციამ ხელოვნებას მასობრივი სახალხო აუდიტორია შეუქმნა. რევოლუციამ შექმნა აგრეთვე პროფესიული ხელოვნებისა და მისი სახალხო აუდიტორიის ურთიერთგავლენის, ურთიერთშემოქმედების ახალი პირობები და ახალი შესაძლებლობანი. კინოხელოვნება ცოცხლობს და შეიძლება ცოცხლობდეს მხოლოდ როგორც მილიონთა ხელოვნება — ასეთია მისი ბუნება. მისი წარმატების აუცილებელი პირობა ის არის, რომ მასები აღიქვამდნენ ფილმს. კინემატოგრაფს ᲧᲕᲔᲚᲐ სხვა ხელოვნებაზე უფრო შეუძლია გავლენა მოახდინოს მილიონობით ადამიანის შეგნებაზე, ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

მომხსენებელმა ანალიზი გაუკეთა თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე საბჭოთა კინოხელოვნების განვითარების ძირითად ეტაპებსა და მიმართულებებს.

მომხსენებელი შეეხო კინონაწარმოების შედგენილ ნაწილებს და განაცხადა, რომ პირველი ადგილი ეთმობა სცენარს — ფილმის საფუძველს. ჩვენ არასოდეს არ დავფიანსმენ ამ იმას, რომ სცენარი მიაჩნდეთ რეჟისორის შთანაფიქრის რაღაც დამატებად, ყოველთვის მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ კინემატოგრაფის ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ მთავარი და შეუცვლელი საფუძველი, მისი სახეების, მისი იდეებისა და პრობლემების წყაროა ლიტერატურა. საბჭოთა კინემატოგრაფიულ სკოლას, მის თავისებურებებს, დრამატურგებთან, რეჟისორებთან, მსახიობებთან ერთად განსაზღვრავენ აგრეთვე ოპერატორები და მხატვრები, რომლებზეც დამოკიდებულია ფილმის სახეითი კულტურა.

საბჭოთა კინემატოგრაფიული სკოლის კიდევ ერთი ნიშანი — არა მარტო შემოქმედებითი, არამედ ზნეობრივი — თაობათა კავშირი, მემკვიდრეობითობა, უფროსთა და უმცროსთა მხატვრული ინტერესების ერთობა.

„მამებისა და შვილების“ ყბადაღებული კონფლიქტი არ არსებობს საბჭოთა კინემატოგრაფში, ამტკიცებს მომხსენებელი. უკანასკნელმა ათმა წელმა ცხადყო თაობათა ერთობა. 50-იანი წლების ახალგაზრდა ოსტატთა პირველი ფილმები ბევრი მხრივ პოლემიკური იყო, მაგრამ პოლემიკა წარმოებდა გარკვეული კონკრეტული ცნებების და არა საბჭოთა კინემატოგრაფიული სკოლის ტრადიციების წინააღმდეგ. პირიქით, კინემატოგრაფი იმ დროს აღადგენდა აყვავების პერიოდის საბჭოთა კინოხელოვნების დემოკრატიულ პრინციპებსა და მხატვრულ საშუალებებს.

უფროსი თაობის რეჟისორები ყოველნაირად ეხმარებოდნენ ახალგაზრდობას: შემოქმედებითად, პედაგოგიურად, მორალურად. საბჭოთა კინოს ძველმა თაობამ ახალ თაობასთან შეჯიბრებაში გვიჩვენა საკუთარი შემოქმედებითი სიჭაბუკე. ᲧᲣᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ათწლეულის შესანიშნავი ფილმები — „დიდი ოჯახი“, „ᲑᲘᲜᲓᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ ᲬᲘᲠᲝᲜᲐ“, „ᲑᲐᲚᲐᲓᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲖᲔ“, „ᲑᲔᲦᲘᲡ ᲞᲝᲛᲐ“, „ᲬᲧᲚᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ“, „ᲡᲐᲛᲬᲘᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘ“, „ᲓᲐ ᲗᲣ ᲔᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝᲐ?“, „ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲪᲮᲠᲐ ᲓᲦᲔ“, „ᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲐᲠᲑᲘᲗ“, „ᲛᲐᲛᲐᲛᲬᲘᲚᲘ“, „20 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲐᲠ“ და სხვები — უფროსი, საშუალო და უმცროსი თაობების რეჟისორებმა შექმნეს.

საბჭოთა კინემატოგრაფიული სკოლა შეიქმნა და ვითარდებოდა როგორც მრავალეროვნული სკოლა. ომამდელ წლებში მას თავიანთი ფილმებით ამდიდრებდნენ შენგელაია, პერესტიანი, სავჩენკო, იარმატოვი, ჭიაურელი, ბურმა, ვაჩნაძე და ბევრი სხვა ოსტატი, რომლებმაც საბჭოთა ᲡᲐᲠᲐᲜᲗᲐ მოიტანეს მოძმე რესპუბლიკების ეროვნულ კულტურათა ტრადიციები და აფერები.

ეროვნულ კინემატოგრაფიათა განვითარება, რაც შეწყდა იმ პერიოდში, როცა ცოტა სურათებს უშვებდნ

საერთაშორისო ცხოვრება

გაერთიანების პრობლემები

საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტი გენერალურ ასამბლეაში

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ი. ლაპიცკი და ს. ლოსევი გვაუწყობენენენ: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველ კომიტეტში, რომელიც განიხილავს პოლიტიკურ საკითხებსა და უშიშროების პრობლემებს, დამთავრდა საერთო დისკუსია გაერაროების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის საკითხზე. დისკუსიაში, რომელიც 17 ნოემბერს დაიწყო, მონაწილეობდნენ 40-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები.

გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დაიკავა გაერაროების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის საკითხმა. ასეთი კონფერენციის მოწვევა მოითხოვეს სოციალისტურმა სახელმწიფოებმა, აზიის, აფრიკის, ევროპის. ლათინური ამერიკის ქვეყნების ბევრმა წარმომადგენელმა. უკრაინელ ააგულისხმოა, რომ ამ საკითხზე რეზოლუციის პროექტი შეიტანეს 43 ქვეყნის დელეგაციებმა.

მეტი წილი დელეგატების გამოსვლებში აღინიშნა, რომ მსოფლიო კონფერენცია უნდა მოიწვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ და ამ კონფერენციაში მონაწილეობის უფლება ყველა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს.

43 ქვეყნის რეზოლუციის პროექტი წინადადებას იძლევა მოიწვიონ კაირის კონფერენციაზე მიღებული წინადადება, რომ არა-უგვიანეს 1967 წლისა, გაიმართოს გაერაროების მსოფლიო კონფერენცია, რომელზეც უნდა მიიწვიონ ყველა სახელმწიფო.

საუფლის არაბეთის წარმომადგენელმა შეიტანა ამ პროექტის შესწორებანი, რომლებშიც ხუთ დიდ სახელმწიფოს წინადადება ეძლეოდათ შეხვედნენ ერთმანეთს უახლოეს 9 თვეში, რათა გამოარკვიათ შესაძლებელია თუ არა მიღწეულ იქნეს შეთანხმება გაერაროების საკითხებზე საერთაშორისო მასშტაბით და წინადადებაც ეძლეოდათ შეექმნათ მუდმივი კომიტეტი, როგორც ხუთი სახელმწიფოს დამჯავრებელი ორგანო.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ კომიტეტის გუშინდელ დღის სხდომაზე კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ისევე, როგორც ბევრი სხვა დელეგაცია, დადებითად ეკიდება გაერაროების მსოფლიო კონფერენციის მოწვევას. რაც შეეხება საუდის არაბეთის დელეგაციის ძიერ შეტანილ შესწორებებს, საბჭოთა დელეგაციის აზრით, ისინი კი არ გააადვილებენ, არამედ გაართულებენ და გაერაროების მსოფლიო კონფერენციის მოწვევას. საბჭოთა მთავრობა, განაცხადა ნ. ტ. ფედორენკომ, პრინციპულად, გაერაროების საკითხზე ხუთი ატომური სახელმწიფოს მოლაპარაკების წინააღმდეგი არ არის. ამასთან საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ის სახით, რა სახითაც ჩამოყალიბებულია ეს წინადადება საუდის არაბეთის დელეგაციის შესწორებები, მხოლოდ გაართულებს მსოფლიო კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებული ამოცანის გადაწყვეტას. ამიტომ საბჭოთა დელეგაციას ეს შესწორებანი საჭიროდ არ მიაჩნია და ხმას მისცემს 43 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს.

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში შეიტანა პროექტი რეზოლუციისა „სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის შეუწყნარებლობის, მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის“ საკითხზე, რომელსაც მალე განიხილავენ პირველ კომიტეტში. რეზოლუციის პროექტი შეიცავს წინადადებას, რომ გენერალურმა ასამბლეამ თავის მოვალეობად მიიჩნიოს იმის დადასტურება, რომ ყოველ სუვერენულ სახელმწიფოს, ყოველ ხალხს აქვს თავიანთ საქმეებზე და დამოუკიდებლობის, თავისი სუვერენიტეტის დაცვის შეუვალი უფლება, და ეს უფლება სავსებით უნდა იყოს დაცული.

საბჭოთა რეზოლუციის პროექტი მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს თავიანთი საერთაშორისო ურთიერთობაში იხელმძღვანელონ იმ პრინციპით, რომ პატივს სცემდნენ ერთმანეთს და არ ერეოდნენ ერთმეორის საშინაო საქმეებში ეკონომიური, პოლიტიკური, თუ იდეოლოგიური ხასიათის რაიმე მიზეზით.

გენერალური ასამბლეა, ნათქვამია პროექტში, აფრთხილებს სახელმწიფოებს, რომლებიც, წინაადმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა, ერევიან სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, რომ ამით ისინი კისრულობენ მძიმე საერთაშორისო პასუხისმგებლობას ყველა ხალხის წინაშე.

ალვკვეთოთ კოლონიზატორთა დანაშაულებანი

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტები ს. ლოსევი და ი. ლაპიცკი იუწყებიან:

უმმრეოების საბჭო გუშინ კვლავ განიხილავდა პორტუგალიის კოლონიათა მდგომარეობას. საბჭოში გამოვიდნენ აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებმაც დამაჯერებლად დაამტკიცეს, რომ ლისაბონელი კოლონიზატორები ნატოს სამხედრო ბლოკის ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს მხარდაჭერით აფრიკის ხალხთა წინააღმდეგ ახორციელებენ დანაშაულებრივ მოქმედებას, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის აფრიკის და მთელი მსოფლიოს მშვიდობასა და უშიშროებას.

სსრ კავშირის წარმომადგენელი ნ. ტ. ფედორენკო მიესალმა იმას, რომ რეზოლუციის პროექტში შეტანილია აზია-აფრიკის ქვეყნების მიერ შემუშავებული პუნქტი, რომელიც მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს ბოიკოტი გამოუცხადონ პორტუგალიის მთელ იმპორტსა და ექსპორტს, თუმცა ეს ღონისძიებანი შეზღუდული ხასიათისაა. მიგვაჩნია, თქვა საბჭოთა დელეგატმა, რომ ლისაბონის რეჟიმის, ისევე როგორც სამხრეთ როდეზიისა და სამხრეთ აფრიკის რასისტების წინააღმდეგ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველზე შეიძლებოდა ეკონომიური, პოლიტიკური და სხვა სანქციების გამოყენება.

საბჭოთა დელეგაცია, თქვა ნ. ტ. ფედორენკომ, ხმას მისცემს აზია-აფრიკის ქვეყნებია რეზოლუციის პროექტს, თუმცა ეს პროექტი მთლიანად როდი შეესაბამება პორტუგალიის კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების მოთხოვნებს.

აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წარმომადგენლები დაეჭიბენი მოითხოვდნენ, რომ დაუყოვნებლივ მიეღოთ წარდგენილი პროექტი. მაგრამ ინგლისისა და ჩილანდიის დელეგაციებმა გაჭიანურების ტაქტიკას მიმართეს. როგორც აფრიკის ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენელთა წრეებში შეიტყვეს, აფრიკის შეერთებული შტატები და სალვადორის სხვა ნატოელი მფარველები ცდილობენ პროექტიდან ამოიღონ მოწოდება იმის შესახებ, რომ ბოიკოტი გამოუცხადონ პორტუგალიის მთელ იმპორტსა და ექსპორტს.

კომუნიკე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის შესახებ

სოფია, 22 ნოემბერი. (საკდესი). დღეს დილით მუშაობა დაამთავრა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმმა.

საბოლოო სხდომაზე მიღებულია კომუნიკე, რომელშიც აღნიშნულია: პრეზიდიუმმა განსაკუთრებული უურადღება მიაპყრო იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სულ უფრო ადგრესიულად ებრძვის ვიეტნამში, და მოითხოვა შეწყდეს აგრესიული მოქმედება ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

სხდომის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ სამხრეთ როდეზიისა და ადენის ხალხებს.

როგორც კომუნიკეშია ნათქვამი, ევროპის უშიშროების პრობლემის განხილვისას აღინიშნა, რომ საჭიროა წინააღმდეგნენ ატომური იარაღის გავრცელებას და დასავლეთ გერმანიისათვის ამ იარაღის გადაცემას.

პრეზიდიუმმა მხარი დაუჭირა მიუმხრობელი ქვეყნების წინადადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე, რომ მოიწვიონ განიარაღების მსოფლიო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს მსოფლიოს ყველა სახელმწიფომ.

შემდეგ კომუნიკეში ნათქვამია, პრეზიდიუმი მხარს უჭერს ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხთა მოთხოვნას, რომ შეერთებულმა შტატებმა შეიარაღებული ძალები გაიყვანონ დომინგოს რესპუბლიკიდან.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ სხდომის მონაწილეებმა მოიწონეს სხდომის პოზიცია, რომელიც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს აღმასკომმა დაიკავა ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის დროს, და ინდოეთისა და პაკისტანის მთავრობებს მოუწოდეს სადავო საკითხები მოაწესრიგონ მშვიდობიანი გზით გარედან ჩაურევლად.

პრეზიდიუმმა სერიოზული უურადღება დაუთმო კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ. სრული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის, სხვის ტერიტორიებზე უცხოელთა სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისა და სამხედრო პაქტების გაუქმებისათვის ბრძოლის საკითხებს.

სხდომაზე გამოაცხადეს, რომ გაიმართება სამი კონტინენტის — აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის კონფერენცია 1966 წლის 3-10 იანვარს ჰავანაში.

სხდომის მონაწილეებმა გამოიტანეს გადაწყვეტილება, რომ მშვიდობის ეოლიო-კიურის სახელობის ოქროს მედლებით დაჯილდოონ მშვიდობისათვის მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეთა ჯგუფები. დაჯილდოებულთა შორის არიან თვალსაჩინო პოლონელი მოღვაწე ოსკარ ლანგე (სიკვდილის შემდეგ), ჯეიმს ენდიკოტი (კანადა), მარტინ ნიმელერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა (სსრ კავშირი) და სხვები. გადაწყდა, რომ 1966 წელს აღინიშნოს ღირსშესანიშნავი თარიღები, რომლებიც დაკავშირებულია მიგელ სერვანტესის, რომენ როლანის, გოტფრიდ ლაიბნიცის, შოთა რუსთაველის, სუნ იატ-სენისა და სხვათა სახელებთან.

სხდომის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუციები ვიეტნამის, სამხრეთ როდეზიის, ადენის, ევროპის უშიშროების შესახებ, მიმართეს მშვიდობის მომხრეებისადმი და სხვა დოკუმენტები.

ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობა

დელი, 23 ნოემბერი. (საკდესი). საგენტო პრეს ტრასტ ოფ ინდია დღეს იტყობინება, რომ 20 ნოემბერს პაკისტანის ჯარებმა ცეცხლი დაუშინეს ინდოეთის სასაზღვრო პატრულს კარიგჯჯის რაიონში (ასამის შტატი). ამ ბოლო დღეებში, აღნიშნავს სააგენტო, პაკისტანის ჯარები სპორადულად ისროდნენ დოგრაის, ჯალოს, ბჰასინის, ჰხემ კარანისა და ჩანანვალის სექტორებში ლაპორის მიმართულებით. სროლის დროს დოგრაისა და ჯალოს სექტორებში 3 პაკისტანელი ჯარისკაცი დახოცეს და 4 დაჭრეს. ფაზილეის, ჯალოსა და ბჰასინის სექტორებში პაკისტანის ჯარები ამაგრებდნენ თავიანთ პოზიციებს.

ჟარარი, 23 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გუშინ პაკისტანის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა რავალპინდიში, ინდოეთის ჯარებმა კაშმირ ნიკიალის სექტორში. გარდა ამისა, ისინი სანგრებს თხრიდნენ მთელ რიგ სხვა სექტორებში. ჯესორის სექტორში (აღმოსავლეთი პაკისტანი) ინდოელი ჯარისკაცები ცდილობდნენ შეეღწიათ პაკისტანის ტერიტორიაზე. ადგილებელ სროლის შედეგად ერთი ინდოელი ჯარისკაცი მოკლეს.

კოლუმბიელ პარტიზანთა მოქმედება

ბოგოტა, 22 ნოემბერი. (საკდესი). კოლუმბიაში გრძელდება შეტაკებები მთავრობის ჯარებსა და პარტიზანთა რაზმებს შორის.

ტოლიმის დეპარტამენტის სამხრეთ ნაწილში ამ რაიონის პარტიზანული მოძრაობის ჩასახშობად გაგზავნილი მთავრობის ჯარების მეექვსე ბრიგადა ჩასაფრებულ პარტიზანებს წააწყდა. „როგორც ოფიციალური ცნობები მოწმობენ, მთავრობის ჯარებს ზარალი მოუვიდათ.

სუდანის დამფუძნებელი კრების სხდომები

ხართუმი, 22 ნოემბერი. (საკდესი). სუდანის დამფუძნებელი კრება ხვალ იხილავს მთავრობის კანონპროექტს, რომელიც კრძალავს სუდანის კომუნისტური პარტიის საქმიანობას. პარლამენტის შენობა გარშემორტყმულია პოლიციელებით. როგორც ცნობილია, 18 ნოემბერს მეორე წაკითხვის შემდეგ ეს კანონპროექტი დამფუძნებელმა კრებამ არ მიიღო.

დღეს ხართუმში შედარებით სიწყნარეა გუშინდელი დემონსტრაციის შემდეგ.

სუდანის პრემიერ-მინისტრმა მუჰამედ მაჰჯუბმა დღეს განაცხადა, რომ სუდანის მთავრობა განახორციელებს მკაცრ ღონისძიებებს, რათა თავიდან აიცილოს დემონსტრაციები ხართუმში.

გვინეის მთავრობის გადაწყვეტილება

კონაკრი, 22 ნოემბერი. (საკდესი). გვინეის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ „გვინეის წინაადმდეგ საფრანგეთის ძარგამომთხრელ საქმიანობასთან დაკავშირებით გვინეის მთავრობამ გადაწყვიტა დახუროს თავისი საელჩო პარიზში და საფრანგეთის მთავრობას წინადადება მისცა დაეყოვნებლივ გაიწვიოს საფრანგეთის კონაკრის საელჩოს დიპლომატიური და საკონსულო შემადგენლობა“.

ცეცხლს წამაკიდებელი... სწორედ ასევე ჰიტლერელები მეორე მსოფლიო ომის წლებში მათ მიერ დოოებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სპობდნენ მშვიდობიან მცხოვრებთა ბინებს, ქმნიდნენ „გადაბუგული მიწის ზონას“.

ეს სურათი იუპის კორესპონდენტმა ამას წინათ სამხრეთ ვიეტნამში გადაიღო. ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ლეიტენანტი ცეცხლს უკიდებს ფარდულს, რომელსაც როგორც ამერიკის საგენტო ამტკიცებს, პარტიზანები იყენებდნენ. საკდესის ფოტოქრონიკა.

ბოლივიის მთავრობის გადადგომა

ლიმა, 22 ნოემბერი. (საკდესი). ბოლივიის ეროვნული ინფორმაციის ბიურო ინფორმაციას ავრცელებს,

ჩვენს მკითხველებს!

ძვირფასო მეგობრებო!

გამოიწერეთ თუ არა თქვენ 1966 წლისათვის გაზეთი

კომუნისტი

გახსოვდეთ: ხელმოწერის უკანასკნელი დღეა

25 ნოემბერი

ახალი ამბები • ცნობები •

ხალხი პატივს სცემს დიდი პოეტის ხსოვნას

23 ნოემბერს მთაწმინდაზე, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, აკაკი წერეთლის საფლავთან თავი მოიყარეს პოეტის ნიშის თაყვანისმცემლებმა — მწერლებმა, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, მეცნიერების, ხელოვნების მოღვაწეებმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ. ისინი აქ მოვიდნენ იმისათვის, რომ პატივი ეცათ ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ხსოვნისათვის, რომლის დაბადების 125 წლისთავს ამ დღეებში იუბილარული სახით აღნიშნავს ქართველი ხალხი. აკაკი წერეთლის შემოქმედება მუდამ საყვარელი იქნება ხალხისათვის.

შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს დიდი პოეტის ხსოვნას, რომლის მთელი ცხოვრება სამშობლოს უანგარო სამსახურის შეფიო მაგალითია.

აკაკი წერეთლის საფლავი გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს მწერლებმა ს. ჭილაიამ, ბ. ულენტმა, ი. ონნეშვილმა, ა. მირცხულავამ, მ. ბარათაშვილმა, პროფესორებმა ვ. ზამბახიძემ, პ. კაკაბაძემ, გ. აბზიანიძემ.

თბილისის სკოლების მოსწავლეებმა წაიკითხეს აკაკი წერეთლის ლექსები. (საქდესი).



ქალაქის სიახლე

ტყიბული. (საქ. კორ.). ქალაქის მცხოვრებლებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს — კულტურისა და დასვენების პარკის წინ დამთავრდა უნივერმაღის ახალი სამსართულიანი შენობის მშენებლობა.

• • •

სურათზე: ახალი უნივერმაღის შენობა.

ფოტო დ. საბელაშვილისა.

მკითხველთა წერილებიდან

● მესამე წელია, რაც ბათუმის რაიონის ჩაისუბნის საშუალო სკოლაში საზოგადოებრივ საწყისებზე მოეწყო სასკოლო რადიოკვანძი და რადიორედაქცია.

მისი მუშაკები კვირაში ორჯერ — სამშაბათსა და შაბათს სოფლის მშრომელებისათვის აწყობენ 15-წუთიან რადიოგადაცემებს, რომლებშიც მონაწილეობენ სოფლის მოწინავე მშრომელები.

ჯ. ხოფერია.

● აბაშის კულტურის სახლში ორ დღეს მიმდინარეობდა საკლუბო დაწესებულებებთან არსებული სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი კოლექტივების რაიონული დათვალიერება. მასში მონაწილეობა მიიღეს ძველი აბაშის, სუჯუნის, მარნის, სეფიეთის, ნაესაკოვოს, აბაშის, ზანათის და სხვა სოფლების კლუბებთან არსებულმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს აბაშის, სუჯუნის, მარნის მომღერალ-მოცეკვავეებმა.

ი. თოფურია.

● ამ დღეებში მცხეთის რკინიგზის სადგურის კოლექტივმა და ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების ვაგონ-კლუბის გამგეობამ შეხვედრა მოუწყეს სადგურის სატვირთო განყოფილების მოლარეს ალექსანდრე კორინთელს, რომელიც 45 წლის მანძილზე კეთილსინდისიერად და სამაგალითოდ ეწევა სამსახურს მცხეთის სადგურში.

ვ. ქისტაური.

ქართველ მსახიობთა მონაწილეობით

ამ დღეებში ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში დიდი წარმატებით გამოვიდა თბილისის ოპერის სოლისტები, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მედეა ანირანაშვილი. იგი მეტროპოლიტენ-ოპერას პრემიერის ჯერმა პაინსის (ბანი) ღირსეული პარტნორი იყო. ქართველმა მსახიობმა შეასრულა მარგარიტას პარტია ოპერა „ფაუსტში“.

დეკემბერში მ. ამირანაშვილი კვლავ გამართავს ლენინგრადში სოლო კონცერტს. რიგის მუსიკის მოყვარულნიც გაეცნობიან ქართველი მომღერლის შემოქმედებას.

რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, თბილისის ოპერის თეატრის სოლისტმა ი. კუზნეცოვამ ამას წინათ იმღერა სსრ კავშირის დიდ თეატრში ოპერა „ევგენი ონეგინში“. დეკემბერში იგი იმღერებს ამავე თეატრის სპექტაკლებში „პიკის ქალი“, „ევგენი ონეგინი“ და „კარმენი“.

შემდეგ ი. კუზნეცოვა გასტროლებზე გაემგზავრება ლენინგრადში. (საქდესი).

გრაფიკია გაოცებულია

რიო-დე-ჟანეირო, 22 ნოემბერი. (საქდესი). ბრაზილია გაოცებულია. აქ ყველა დიდ მოგებას უწინასწარმეტყველებდა მსოფლიოს ჩემპიონს. საბჭოთა სპორტსმენების კარგმა თამაშმა და მატჩის ფრედ დამთავრებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე.

სპორტული გაზეთი **„ფორნალ დო სპორტი“** დღეს მთელ პირველ გვერდზე ათავსებს ვეებერთელა სათაურს: „რუსეთმა შეაჩერა ბრაზილია“. „პირველი ტაიმი, — წერს გაზეთი, — ჩვენთვის ძმიმე იყო. შეხვედრის პირველი ნახევრის დასასრულს ინიციატივა ხელში იგდეს რუსებმა. მხოლოდ მეორე ტაიმის დასაწყისში შეძლეს ბრაზილიელებმა ორი ბურთის გატანა, მაგრამ უკვე მე-14 წუთზე ბანიშევსკამ გაიტანა საპასუხო ბურთი, რამაც დაანახა ბრაზილიელები და აღფრთოვანა საბჭოთა მოთამაშეები. თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მანგა იძულებული იყო ბადიდან გამოეტანა ბურთი, რომელიც მეტრიველმა გაიტანა“.

გაზეთი „ულტიმა ორა“ აღნიშნავს, რომ „საბჭოთა სპორტსმენები ბრწყინვალედ არიან მომზადებული ფიზიკურად. ისინი თამაშის შემდეგ უფრო ყოჩაღად გრძნობდნენ თავს, ვიდრე ჩვენები, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ფეხბურთელებისათვის აქაური კლიმატი ძმიმეა“.

გაზეთი „გლოკო“ ხაზგასმით აღნიშნავს, ბრაზილიელთათვის ფრე წაგებას უდრისო.

ანგარიშია პოლიციის სასარგებლოდ

იტალიის ფეხბურთის ლიგა ფრიად შეშფოთებულია გაბშირებული ექსცესებით, რომლებიც დაკავშირებულია ფეხბურთის მატჩებზე ფანატიკოს გულშემატკივართა ქცევასთან. როგორც წესი, თუ გუნდი წარუმატებლად თამაშობს, მის ფეხბურთელებს ტრიბუნებიდან სეტყვასავით აყრიან სხვადასხვა საგნებს. ეს სეტყვა ემუქრება მსაჯებსაც, რომლებიც რაიმე მიზეზით არ მოეწონებათ მაყურებლებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ლიგამ პოლიციას სთხოვა ზერელედ მაინც გაჩხრიკოს ხოლმე გულშემატკივრები ფეხბურთის ისეთი მატჩების წინ, რომლებიც შეიძლება განსაკუთრებით „საშიში“ აღმოჩნდეს.

პირველი ასეთი ექსპერიმენტი გაიმართა „ნეაპოლისა“ და „ას რომის“ გუნდების შეხვედრის წინ. პოლიციელებმა გაჩხრიკეს ამ მატჩზე ჩამოსული 30 ათასი ნეაპოლელი გულშემატკივარი. მათ აღმოაჩინეს: 125 კილოგრამი რაკეტები, ფეიერვერკები ტაცეტებები, პეტარდები და „სხვა პიროტექნიკური ნაკეთობანი“, ღვინისა და ლუდის 9 ათასზე მეტი ბოთლი, 55 ნაპერი შეშა, თექნსეტი რიყის ქვა და... ორი ღამის ჭურჭელიც კი.

დასასრულ ვიტყვით, რომ თუმცა მატჩი დამთავრდა ანგარიშით 0:0, იტალიის პრესა წერდა, ამ შეხვედრის ანგარიშია პოლიციის სასარგებლოდ.

მ. ტალი თუ გ. სპასკი?

თეთრების შავი დღეები

დილიდან რეკავდნენ მოსკოვიდან, **გვეკითხებოდნენ** თბილისელი კორესპონდენტებიც: „ტალი არ დანებებულა?“ მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მდგომარეობა გადადებულ მეცხრე პარტაში იმდენად უნუგეშო იყო, რომ ბევრი მოელოდა კაპიტულაციას... ტელეფონით.

ერთადერთი, რომელიც არ რეკავდა, თვით ტალი იყო. პარტიის დამთავრება სრულიად მოულოდნელად კიდევ სამ საათს გაგრძელდა — ტალმა შეძლო შუაკოვარი წინააღმდეგობა გაეწია მეტოქისათვის. ეს იმიტომ მოხდა, რომ სპასკიმ აირჩია უპირატესობის რეალიზაციის არც თუ ისე კარგი გეგმა. მართალია, მის მიერ არჩეულ გაგრძელებითაც არ ქონდა ტალს „ტკბილი ცხოვრება“, მსოფლიოს ექსჩემპიონს მოუხდა გამოთხოვებოდა ხარისხს, ხოლო შემდეგ უეტლოდაც კი დარჩა. 71-ე სვლაზე ტალმა მეორე დამარცხება განიცადა.

ამრიგად, საყაიმო ეპიდემია დამთავრდა. პირველად ამ მატჩში ლიდერი ბორის სპასკი გახდა.

საყურადღებოა, რომ თეთრებით პრეტენდენტებმა ვერ შეძლეს ვერცერთი პარტიის მოგება. პირიქით, შავებმა სამჯერ გაიმარჯვეს. რაშია საქმე? თეთრები იწყებენ და... აგებენ? ეშმარიტად შავი დღეები დაუდგათ თეთრებს ამ მატჩში. ტალმა პორტიშსა და ლარსენთან თეთრებით ნთამაშეს 9 პარტიაში 7,5 ქულა მოაგროვა. სპასკისთან კი „თეთრმა ტალმა“ ორი პარტია წააგო. წარმოუდგენელია!

როგორც ვხედავთ ბორის სპასკიმ იზეიმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება, იგი ლიდერია ანგარიშით 5:4.

რა უნდა ითქვას ტალის შესახებ? ტალი-ეუონალისტი სწორია თავისი პროგნოზიით, რომ მატჩს მოიგებს სპასკი. მაგრამ გროსმაისტერ ტალისათვის ყველაფერი დაკარგული როდია. იგი, როგორც დაგვპირდა ხელს შეუშლის სპასკის გეგმას, მიაკუთვნოს იგი კერეს-გელერის ჯგუფს.

მოხდა ის, რაც ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო. ახლა ფინნიშზე ბრძოლა საგრძნობლად გამწვავდება. რა თქმა უნდა, სპასკი წინააღმდეგი როდი იქნება კიდევ სამი შეხვედრა ყაიმით დამთავრდეს. მაგრამ ტალი გართულებებს მოისურვებს. ასეთი ტაქტიკისას შეიძლება კიდევ ერთხელ წააგო და მაშინ ყველაფერი დამთავრდება. მაგრამ აბა სხვა რა უნდა გააკეთოს მან?

ერთი ჭულა მშვიდი ბორის სპასკის ხელში დარჩენილი პატარა დისტანციის დროს კოლოსალური უპირატესობაა.

სალო ფლორი,
მატჩის მთავარი არბიტრი.

ჩემპიონის მეორე დამარცხება

გუშინ ტალინში გაიმართა საკავშირო საკადრაკო ჩემპიონატის მეორე ტური. მეორე დამარცხება განიცადა სსრ კავშირის ჩემპიონმა ალექსეი პოლუგაევსკისთან შეხვედრაში. **კერესმა** მოუგო სუეტინს, **ბრონშტეინმა** — მიკენასს.

კიდევ ერთი გამარჯვება

რიო-დე-ჟანეირო, 23 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ. მ. ალიბიევი და პ. მიხალევი). სსრ კავშირისა და ბრაზილიის კალათბურთელთა გუნდების მეოთხე მატჩი გაიმართა ქალაქ კურიტიბაში, მაყურებლები უდიდესი ინტერესით მოელოდნენ ჩვენი გუნდის გამოსვლას იმიტომ, რომ აქ არასდროს არ უთამაშიათ საბჭოთა კავშირის სპორტსმენებს. დარბაზში შეიკრიბა თორმეტი ათასი მაყურებელი, რომლებიც ტაშით შეხვდნენ მეტოქეთა გამოსვლას.

მსოფლიოს ჩემპიონები ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ შინ ვერ გასტეხეს სტუმართა წინააღმდეგობა. ბრაზილიელებმა სტარტზე ხუთი საუკეთესო მოთამაშე გამოიყვანეს, ჩვენმა მწვრთნელებმა კი არჩევანი ახალგაზრდებზე შეაჩერეს: ესენი იყვნენ — **სუშაკი, სხიერელი, პაულაუსკასი, სელიხოვი** და **კულკოვი.** ჩვენმა ბიჭებმა კვლავ გაამართლეს მწვრთნელთა ნდობა. ისინი თამაშობდნენ თამამად და გულდაჯერებით და პირველი ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ დამთავრეს ანგარიშით 46:38.

შესვენების შემდეგ მოედანზე გამოვიდნენ ჩვენი ვეტერანები — **ვოლნოვი, ტრავინი, ლიპსო, პეტროვი.** მეორე ტაიმში ბრაზილიელებმა ვერ გაათანაბრეს ანგარიში, მხოლოდ უკანასკნელ წამებში რამდენადმე შეამცირეს განსხვავება. ჩვენმა ნაკრებმა მეოთხედ დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონები, ამჯერად ანგარიშით 87:83.

სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში საუკეთესო „სნაიპერები“ იყვნენ **სელიხოვი** — 16 ქულა, **პაულაუსკასი** — 19 და **ლიპსო** — 12 ქულა.

საბჭოთა ალპინიზმის ისტორიიდან

პირველი ასვლა იალბუზზე

ამ ორმოცი წლის წინათ საბჭოთა ექსპედიციამ ცხრამეტი ქალ-ვაჟის მონაწილეობით პირველად შედგა ფეხი კავკასიონის უმაღლეს მწვერვალზე—იალბუზზე, რომლის სიმაღლე ზღვის დონედან 5.633 მეტრია. ექსპედიციის მომწყობი და ხელმძღვანელი იყო ჩვენი ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ნიკოლაძე.

მრავალი სიძნელე იყო გადასალახავი. ის დროს, საბჭოთა მთამსვლელობის გარიჟრაჟზე, არ იშოვნებოდა ალპური ფეხსაცმელი, საძილე ტომრები, წვრილყინები, წრიაპები, გამძლე თოკი, მსუბუქი, წყალუეფინავი კარვები და ზურგჩანთები.

საძილე ტომრების მაგივრობას სწევდნენ მძიმე ნაბდები, მსუბუქი, წყალუეფინავი კარვების მაგივრობას — მძიმე, ბრეზენტისაგან დამზადებული კარვები. ასეთივე მძიმე ბრეზენტისა შეკეკვინეს ზურგჩანთებიც. მსუბუქი და გამძლე სამთო თოკის ნაცვლად იძულებული იყვნენ წაეღოთ სქელი და მძიმე თოკი. წერაყინები თბილისის ერთ-ერთ ქარხანაში დაუმზადეს, აგრეთვე წრიაპებიც, მაგრამ რკინა რიგი და უხარისხო გამოდგა, რამაც ყინულებზე სიარულისას მეტისმეტად გააწვალა მთამსვლელები, წრიაპის კბილები იღუნებოდა და იგრიხებოდა.

— კი, მაგრამ სახსრები?

— შევეკითხე მაშინ ნიკოლაძეს.

— ზოგი მთავრობამ მოგვცა, ზოგიც ნებაყოფლობითმა ორგანიზაციებმა. ჩვენც გავიღეთ ას-ასი მანეთი. მახსოვს, განაგრძო ღიმილით ნიკოლაძემ, — ერთ დღეს ნაბიჯბზომი გავიკეთე და, როგორ გამიკვირდა, როცა სალამითი მოვიხსენი და ამოვიკითხე 22 კილომეტრი! ეს მანძილი გამეკლო ფეხით ჭურჩებსა და კიბეებზე ასვლა-ჩასვლით, სახსრების საშოვნელად. ეს მხოლოდ ერთ დღეს! სულ კი ორი კვირა მომიხდა ასე კარდაკარ სიარული.

თბილისიდან ექსპედიცია კისლოვოდსკში მატარებლით ჩავიდა. იქიდან კი უსახსრობის გამო იალბუზამდე ასოცი კილომეტრი ფეხით გაიარეს. იალბუზზე მთელი ბარგის და მარაგის ატანა ზურგით მოუხდათ, დაბანაკდნენ 4.200 მეტრის სიმაღლეზე, იქვე გაშალეს კარვები.

მეორე დღეს შეუდგნენ მწვერვალის იერიშს, მაგრამ ატყდა ძლიერი ქარბუქი, დ. ექსპედიცია იძულებული გახდა კარვებში დაბრუნებულიყო. ორ დღე-ღამეს მძვინვარებდა ასეთი ამინდი. დადგა ისევ იერიშის დღე. წინ ხანშიშესული, მაგრამ ძალღონით სავსე, გამოცდილი და ფრთხილი გამყოლი. მოძეგე ბასა ზიკლაური მიუძღოდათ წელზე თოკშემოჭერილი. მეორე თოკზე მთამსვლელებს მიუძღოდა მოხცვე ია ბრ ბაზალიკაშვილი. ასე იარეს ორი საათი, სანამ მიაღწიეს პასტუხოვის ნაბინადრარ კლდეებს.

— შესვენება! — გასცა ნიკოლაძემ განკარგულება. დაღლილ-დაქანცული მთამსვლელები მიეყუდნენ სალ კლდეებს, რომ ზურგი შეიქციათ ქარბუქისათვის, რომელიც სახეში მწვავე ნამქერს აყრიდა. მზის ამოსვლის შემდეგ ამინდი შეიცვალა, და მთამსვლელებმაც მხნედ განაგრძეს გზა. შუადღისას ექსპედიცია იალბუზის მწვერვალზე ყიეფიით მოექცა. ხვავნა-კოცნა, საერთო ფერხული! მიუკარებელმა იალბუზმა პირველად იხილა მწვერვალზე ქალიშვილები, ისიც ხუთი ერთად.

ცხრამეტმა მთამსვლელმა ხელი მოაწერა გრძელ სიაზე, ჩადო ლითონის ბოლოფში და მწვერვალზე ჩაფლა, ყინულის ნამსხვრევები წაიყარა და საკმაოდ მაღალი, შორიდან შესამჩნევი ნიში დადო.

აი ასე, მრავალი დაბრკოლების დაძლევით პირველმა საბჭოთა ექსპედიციამ მიაღწია მიზანს, წითელი ალამი აიფრიალა იალბუზის მწვერვალზე.

ე. ლუკაშვილი.

• • •

სურათზე: ქართველ მთამსვლელთა ჯგუფი იალბუზზე.

საბჭოთა ფეხბურთელები სოზღვარგარეთ

მოსკოვიდან დინამოელთა პირველი ვიზიტიდან დიდ ბრიტანეთში ოცი წელი გავიდა. და აი დედაქალაქის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი კვლავ ეწვია ინგლისს. პირველი საერთაშორისო მატჩი დინამოელებს ჰქონდათ „ნიუკასლ იუნაიტედის“ საკლუბო გუნდთან, რომელსაც ინგლისის ჩემპიონატში მეთხუთმეტე ადგილი უკავია და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1.

საბავშვო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი განაგრძობს ტურნეს ლიბანში. მორიგ მატჩში არმიელმა ფეხბურთელებმა დამარცხეს „ხომენტმენის“ გუნდი 11:0.

ნაკრების მატჩები

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს მორიგი მატჩი ექნება 24 ნოემბერს ბრაზილიის ქ. ბელო-ორიზონტეში ერთ-ერთ საკლუბო გუნდთან.



◇ სპორტი უცხოეთში ◇

„მწვანე საოცრება“

ავტომობილზე სიჩქარის მსოფლიო რეკორდის მოპოვებისათვის შეჯიბრება გრძელდება. ინგლისელი დონალდ კემპბელი, რომელმაც თავის დროზე სახელი გაითქვა რბოლაში თავის მანქანა „ცისფერი ფრინველით“, დიდი ხანია გამოაცხადა პრეტენდენტთა რიცხვს. ახლა რეკორდისათვის ბრძოლა ძირითადად ამერიკელებს შორის გაჩაღდა.

ამას წინათ გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა „სიჩქარის ახალი სენსაციური რეკორდის“ შესახებ. ეს რეკორდი დამყარებულ იქნა ავტომობილზე, რომელსაც „ლუმანიტეში“ გამოქვეყნებულ ამ სურათზე ხედავთ.

ამერიკელმა მრბოლმა არტ არფონსმა „მწვანე საოცრებით“ საათში 927,87 კილომეტრი სიჩქარე განავითარა. ეს ახალი მსოფლიო რეკორდია ასეთი კლასის ავტომობილზე. სიჩქარის წინანდელი რეკორდი, რომელმაც მხოლოდ ერთ კვირას გაძლო, ეკუთვნოდა მის თანამემამულეს კრეგ ბრიდლავს და საათში 893,39 კილომეტრს შეადგენდა.

მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა, ბრიდლავი არ აპირებს ფარხმალი დაყაროს. მან განაცხადა, საათში 1.000 კილომეტრი სავსებით შესაძლო სიჩქარეაო.

ამრიგად, ეს იმას ნიშნავს, რომ რეკლამის, ფულისა და... სიკვდილისათვის შეჯიბრება გრძელდება.

სურათზე: არტ არფონსი თავისი „მწვანე საოცრებით“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1965-66 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობათა მიხედვით

I. დასწრებული ასპირანტურა

გამოთვლითი ცენტრი: გამოთვლითი მათემატიკა — ერთი ადგილი, **გეოლოგიური ინსტიტუტი:** პალეონტოლოგია და სტრატიგრაფია — ერთი ადგილი, **ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი:** ელექტრონული ტექნიკა და ხელსაწყოები — ერთი ადგილი, **სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი:** ნაგებობათა თეორია და გამოცდა — ერთი ადგილი, **ზოოლოგიის ინსტიტუტი:** ჰელმინთოლოგია — ერთი ადგილი, **ფიზიოლოგიის ინსტიტუტი:** ბიოქიმია — ერთი ადგილი, **შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი:** საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურა — ერთი ადგილი, **ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი:** სამოქალაქო სამართალი — ერთი ადგილი, **ენათმეცნიერების ინსტიტუტი:** მათემატიკური ლინგვისტიკა — ერთი ადგილი.

II. დაუსწრებელი განყოფილება

კიბერნეტიკის ინსტიტუტი: თეორიული კიბერნეტიკა — ერთი ადგილი, **ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი:** ავტომატიკისა და ტელემექანიკის ხელსაწყოები და მოწყობილობა — ერთი ადგილი, **სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი:** სამშენებლო მასალები, დეტალები და ნაკეთობანი — ერთი ადგილი, **ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი** — სახალხო მეურნეობის ეკონომიკა, ორგანიზაცია და დაგეგმვა — ერთი ადგილი.

ასპირანტურაში შესასვლელად საჭირო **საბუთები მიიღება 15 დეკემბრამდე.** მისაღები **გამოცდები** ჩატარდება 16 დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე.

ყველა ცნობის მიღება ასპირანტურაში შესვლის წესების შესახებ შეიძლება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის განყოფილებაში — თბილისი ძერჟინსკის ქ. № 8, ტელ. 9-91-53.

„დინამოს“ სტადიონი

ოკ. წერეთლის პროსპ. № 2.

ტელ. 5-21-62.

25 ნოემბერს

ფეხბურთი

ახალგაზრდათა (1946, 1947 და 1948 წლებში დაბადებულთა) გუნდების ტურნირი.

„დინამო“ (თბილისი) — ახალგაზრდოგის საფეხბურთო სკოლა (თბილისი)

დასაწყისი 16 ს.

საქართველოს ნაკრები — თბილისის განათლების განყოფილება

დასაწყისი 18 ს.

ჩაუვლელოთ, ჩაუთვალოთ

რადიო

24 ნოემბერი

პირველი პროგრამით

10.15 — ქართველი პოეტების ლირიკული ლექსები, 11.15 — ნაწყვეტები ზ. ფალიაშვილის ოპერა „ლაკადარადან“, 12.30 — გადაცემა ახალგაზრდობისთვის — ჟურნალ „ახალგაზრდა ჟურნალისტის“ ახალი ნომრის მიმოხილვა, 12.45 — მსუბუქი მუსიკა, 13.10 — გ. სვირიდოვის რომანსები, 13.40 — რუმინული სიმღერები, 17.15 — ქართული საოპერეტო მუსიკა, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ნაწყვეტები მ. ლერმონტოვის პოემა „მწირიდან“, 18.10 — მსუბუქი მუსიკის კონცერტი, 18.45 — ბ. ჩაიკოვსკი. იტალიური კაპრიჩიო, 19.30 — მოწინავე გამოცდილების სკოლა — „როგორ ვიყენებთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას“. მიკროფონთან — სიღნაღის რაიონის სოფელ მაღარის კოლმეურნეობის მექანიზატორი ი. ბაიდოშვილი, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.15 — „ძილისპირული“, 20.30 — „თბილისი, ბაქო, ერევანი“, 21.00 — კონცერტი კამერული მუსიკის მოყვარულთათვის, 21.40 — რადიოკომპოზიცია „ირაკლი აბაშიძე“, 23.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან.

ტელევიზია

24 ნოემბერი

17.55 — გადაცემათა პროგრამა 18.00 — თქვენთვის, პატარებო! — „ცეროდენას ეკრანი“, 18.20 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“, 19.35 — განცხადებები, 19.40 — „უმაღლესი სასწავლებელი და სპორტი“, 20.00 — კინონარკვევი, 20.20 — გადაცემა „სიტყვა და საქმე“, 20.35 — კინონარკვევი, 20.55 — რეპორტაჟი თბილისის ვინო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიიდან. 21.30 — „მშვიდობის ატომი“, 22.00 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.15 — კინონარკვევი, 22.25 — გადაცემათა პროგრამა 25 ნოემბრისათვის, 22.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — ეთერშია ახალგაზრდობა — „ორბიტა“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხზე — 17.45-22.30 — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.

თეატრები

24 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სევილიელი დალაქი (მე-14 აბონ. მე-9 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** — შეხვედრა (მე-9 და გაცდენილი აბონემენტები), **მარჯანიშვილის სახელობის** — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (მე-5 აბონ. მე-9 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — მოაგარაკენი (მე-5 აბონ. I წარმოდგენა).

რედაქტორი
დ. მეტლიშვილი.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გადაგიხადოთ იმ ორგანიზაციებსა და პირებს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება ალექსანდრე კალისტრატეს-ძე რუხაძის გარდაცვალების გამო.

ალექსანდრე რუხაძის ოჯახი.